## ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის

## სხდომის ოქმი N12

27 ივლისი, 2018 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2

11:00 საათი

**სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:**

თ. ტალიაშვილი; ა. ლაშხი; მ. დარჩია; ბ. დავითულიანი; ე. კუხიანიძე; ქ. ჯოხაძე.

**სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:**

1. გაიოზ თალაკვაძე - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი;
2. მაკა ნასრაშვილი - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე.

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალბატონი თამარ ტალიაშვილი (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე).

**სხდომის დღის წესრიგი:**

1. **საკითხი: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის N6-8 დადგენილებაში ცვლილების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.**

   **მომხსენებელი:** ბატონი გაიოზ თალაკვაძე

   **თანამდებობა:** ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი.

სხდომის თავმჯდომარე ქალბატონი თამარ ტალიაშვილი მიესალმა სხდომის მონაწილეებს, დაადასტურა კვორუმის არსებობა, წარადგინა დღის წესრიგი და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

განათლებისა და კულტურის კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

**მოისმინეს:**

დღის წესრიგის გათვალისწინებული საკითხი წარმოადგინა ბატონმა გაიოზ თალაკვაძემ, რომელმაც განმარტა, რომ თბილისის 2018 წლის ბიუჯეტს 10 მილიონი ლარი ემატება და ჯამში შეადგენს 916 863,6 ლარს. მისი თქმით, აღნიშნული 10 მილიონი ლარი ბიუჯეტს დაემატა საქართველოს მთავრობის 2018 წლის 2 ივლისის N1341 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გზების სარეაბილიტაციო ღონისძიებების დასაფინანსებლად, სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან. ბიუჯეტის ცვლილება ასევე, ითვალისწინებს საბიუჯეტო თანხების გადანაწილებას, რაც გამოწვეულია სატენდერო და სხვა სახის ეკონომიებით.

ბატონი გაიოზის თქმით წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტით იზრდება გზების მშენებლობა აღდგენა (კოდი 010101) 10 000,0 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება გლდანის რაიონში (კოდი 010108) 475,0 ათასი ლარით, ნაძალადევის რაიონში (კოდი 010109) 309,4 ათასი ლარით, დიდუბის რაიონში (კოდი 010110) 29,5 ათასი ლარით, ჩუღურეთის რაიონში (კოდი 010111) 250,0 ათასი ლარით, ვაკის რაიონში (კოდი 010112) 10,0 ათასი ლარით, საბურთალოს რაიონში (კოდი 010113) 300,0 ათასი ლარით, სამგორის რაიონში (კოდი 010114) 300,0 ათასი ლარით, კრწანისის რაიონში (კოდი 010116) 400,0 ათასი ლარით.

მისივე განმარტებით, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები (კოდი 010201) იზრდება 1 048,4 ათასი ლარით, ქალაქგაფორმებითი ღონისძიებები (კოდი 0207) 555,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში (კოდი 020911) 155,6 ათასი ლარით, დიდუბის რაიონში (კოდი 020912) 570,5 ათასი ლარით, ჩუღურეთის რაიონში (კოდი 020913) 190,0 ათასი ლარით, ისნის რაიონში (კოდი 020916) 730,0 ათასი ლარით, კრწანისის რაიონში (კოდი 020918) 346,0 ათასი ლარით, მთაწმინდის რაიონში (კოდი 020919) 899,0 ათასი ლარით.

აგრეთვე იზრდება ქალაქის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 0210) 300,0 ათასი ლარით, ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 03 03 02) 100,0 ათასი ლარით, თბილისი - საერთაშორისო ქსელებსა და პროექტებში (კოდი 0404) 5,0 ათასი ლარით, თბილისში შემომყვანი ტურიზმის მხარდაჭერა (კოდი 04 08) 255,0 ათასი ლარით, საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გავრცელება (კოდი 070204) 500,0 ათასი ლარით, ა(ა)იპ საზოგადოებასთან კომუნიკაციის განვითარების სააგენტოსათვის, კულტურის ღონისძიებები (კოდი 08 05) 1 000,0

ათასი ლარით კულტურის სფეროში სხვადასხვა პროექტების დასაფინანსებლად, სპორტული ღონისძიებები (კოდი 080601) 500,0 ათასი ლარით, თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების დაცვის უზრუნველყოფა (კოდი 0901) 12,0 ათასი ლარით, მერიის ადმინისტრაცია (კოდი1002) 1 010,0 ათასი ლარით, ისნის რაიონის გამგეობა (კოდი 1033) 51,0 ათასი ლარით. ამასთან, ბატონი გაიოზის განმარტებით, ბიუჯეტს წარმოდგენილი ცვლილებით ემატება ახალი ქვეპროგრამა მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების ხელშეწყობა (კოდი 070303), რომელიც განსაზღვრულია 289,8 ათასი ლარით.

ბატონი გაიოზ თალაკვაძის განმარტებით, საბიუჯეტო ასიგნებების შემცირებები ძირითადად ეხება სატენდერო ეკონომიებს. მცირდება გზების მოვლა-შეკეთება ისნის რაიონში (კოდი 010114) 630,0 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება მთაწმინდის რაიონში (კოდი 010117) 16,8 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები გლდანის რაიონში (კოდი 020910) 125,0 ათასი ლარით, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარება (კოდი 0410) 10,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა რაიონებში (კოდი 0501) 6 677,9 ათასი ლარით, მათ შორის ნაძალადევის რაიონში 600,0 ათასი ლარი, დიდუბის რაიონში 600,0 ათასი ლარი, ჩუღურეთის რაიონში 781,0 ათასი ლარი, ვაკის რაიონში 10,0 ათასი ლარი, საბურთალოს რაიონში 525,1 ათასი ლარი, ისნის რაიონში 500,0 ათასი ლარი, სამგორის რაიონში 626,0 ათასი ლარი, კრწანისის რაიონში 846,0 ათასი ლარი, მთაწმინდის რაიონში 2 189,8 ათასი ლარი, ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა (კოდი 070207) 100,0 ათასი ლარი, თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 070301) 5,5 ათასი ლარი, თბილისის მედიათეკების გაერთიანების ხელშეწყობა (კოდი 070302) 253,6 ათასი ლარით, მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები (კოდი 070602) 900,0 ათასი ლარით, ქართული ფოლკლორის მოსწავლეთა სასახლე (კოდი 080402) 36,2 ათასი ლარით, მუზეუმების გაერთიანების ხელშეწყობა (კოდი 080312) 12,6 ათასი ლარით, კულტურის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებები (კოდი 080404) 23,6 ათასი ლარით, სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და მშენებლობა (კოდი 080604) 600,0 ათასი ლარით, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი (კოდი 1026) 1 200,0 ათასი ლარით.

ბატონი გაიოზის მიერ, წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებული ცვლილებების წარმოდგენის შემდეგ, სხდომა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა.

საკრებულოს წევრმა, ბატონმა ირაკლი ზარქუამ აღნიშნა, რომ თბილისის საკრებულოს ოპოზიციის წარმომადგენლების განცხადება, თითქოს რეგიონული განვითარების ფონდიდან თბილისისთვის გამოყოფილი 12.5 მილიონი ლარი, საიდანაც 10 მილიონი ლარი მიზნობრივი კაპიტალური ტრანსფერია, რომელიც რეალურად, გზების რეაბილიტაციისა და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარებისთვისაა გათვალისწინებული და დამატებით, ამავე მიზნისათვის გამოყოფილი 2.5 მილიონი ლარი, იხარჯება ცალკეულ კულტურულ ღონისძიებებზე, არის სიცრუე.

ბატონმა ირაკლი ზარქუა ასევე, შეეხო ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების საკითხს და განმარტა, რომ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების საბიუჯეტო კოდის 6 მილიონი ლარით შემცირება განპირობებულია მათი მომწესრიგებელი წესის გვიან მიღებით. მისივე განმარტებით, ხსენებულმა წესმა არ გაამართლა, რადგან სრულად ვერ ხერხდებოდა საბიუჯეტო სახსრების ათვისება, შესაბამისად თბილისის საკრებულოს და მერიას მოუწევს აღნიშნულ საკითხზე დამატებით მსჯელობა, რათა პროგრამაში ცვლილებები შევიდეს, რაც უზრუნველყოფს ბიუჯეტის თანხების ათვისებას. ბატონმა ირაკლიმ ასევე, აღნიშნა, რომ თბილისის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხარჯები მცირდება, არათუ იზრდება, როგორც ამაზე ხშირად მიუთითებენ ოპოზიციის წარმომადგენლები.

სიტყვა გადაეცა საკრებულოს წევრს, ბატონ ლევან ხაბეიშვილს. მისი თქმით, ოპოზიციას შეცდომაში არ შეჰყავს საზოგადოება, ვინაიდან წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხარჯები იზრდება. ასევე, მისი თქმით, იზრდება საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხარჯები 500 000 ლარით.

აღნიშნულთან დაკავშირებით, ბატონმა გაიოზ თალაკვაძემ განმარტა, რომ ხსენებული ზრდა დაკავშირებულია საზოგადოებისთვის საჭირო ინფორმაციის გავრცელებასთან.

ბატონი ლევან ხაბეიშვილის თქმით, 1 მილიონი ლარით გაიზარდა თბილისის მერიის ადმინისტრაციის ხარჯები, ასევე, იზრდება სპორტული და კულტურული ღონისძიებებისთვის გამოყოფილი ასიგნებები. მისივე განმარტებით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების შესახებ წესის განხილვისას ოპოზიცია აცხადებდა, რომ იგი ბიუროკრატიულ სირთულეებს გამოიწვევდა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებისთვის, თუმცა მმართველი გუნდი აცხადებდა, რომ წესი არანაირ პრობლემას არ შექმნიდა. სამწუხაროდ ეს პრობლემა შეიქმნა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობები ვერ იღებენ საჭირო სერვისებს, ისეთების როგორიც არის საწვიმარი ჟოლოპების მონტაჟი, ლიფტებისა და სახურავის შეკეთება. მისივე თქმით, მან პირადი შეხვედრისას

რამდენიმე გამგებლისგან მოისმინა ხსენებული პრობლემების შესახებ და თუ ასე გაგრძელდა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობები ნახევარ ბიუჯეტსაც კი ვერ აითვისებენ.

ბატონმა ირაკლი ზარქუამ აღნიშნა, რომ აღნიშნულ საკთხზე მმართველმა გუნდმა უკვე გააკეთა კომენტარი და იგეგმება მასთან დაკავშირებით დამატებით მსჯელობა.

ბატონმა ლევან ხაბეიშვილმა აღნიშნა, რომ წინა საბიუჯეტო ცვლილებისას, თბილისის ბიუჯეტში შემცირდა კეთილმოწყობის სამუშაოებისთვის გამოყოფილი თანხები დაახლოებით 3 მილიონი ლარით. შესაბამისად დაინტერესდა, რატომ იზრდება ხსენებული საბიუჯეტო კოდი წარმოდგენილი ბოლო ცვლილებით. მან ასევე, კითხვა დასვა, თუ რატომ უნდა დაიხარჯოს 500 000 ლარით მეტი თბილისის ბიუჯეტიდან პიარისთვის და რა საქმე გააკეთა თბილისის მერიამ, რომ მერიის ადმინისტრაციის თანხები 1 მილიონი ლარით იზრდება.

ამავე საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრმა ბატონმა ბექა დავითულიანმა განმარტა, რომ პიარისათვის თანხები არსებული საჭიროების გამო იზრდება, მაგალითად რამდენიმე ხნის წინ თბილისის მერიამ წარადგინა დედაქალაქის ტრანსპორტის პოლიტიკა, რასაც სჭირდება შესაბამისი ახსნა-განმარტება და მოსახლეობისათვის მიწოდება, თუნდაც, ტაქსის მძღოლებისთვის ინფორმაცია, თუ რა პროცედურები უნდა გაიარონ, რა ხორციელდება პარკირებასთან დაკავშირებით და სხვ. ბატონი ბექას თქმით, თავისი სუბიექტური აზრით, მოსახლეობის ინფორმირებისთვის თბილისის მერია ცოტა თანხებს ხარჯავს და უფრო მეტი სახსრები უნდა გამოყოს. მისივე თქმით, იგი არ ეთანხმება ბატონ ირაკლი ზარქუას, თითქოს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების შესახებ წესმა არ გაამართლა. ამ საკითხშიც მოსახლეობასთან კომუნიკაციის პრობლემა იყო, შესაბამისად, თბილისის მერიას მეტი ძალისხმევა უნდა დაეხარჯა და უკეთ განემარტა დედაქალაქის მაცხოვრებლებისთვის.

საკრებულოს წევრმა, ქალბატონმა მარიკა დარჩიამ აღნიშნა, რომ როდესაც საზოგადოებრივი საქმე კეთდება, მას სჭირდება სხვადასხვა საშუალებებით ახსნა, ეს არის მართვის უბრალო მოთხოვნა და ბერკეტი.

სიტყვა გადაეცა საკრებულოს წევრს, ქალბატონ რიმა ბერაძეს, რომელმაც აღნიშნა, რომ 5 წლის განმავლობაში თბილისის ბიუჯეტს მსგავსი ზრდის ტემპი არ ჰქონია, გარდა 2015 წლის 13-14 ივნისის სტიქიისა და ოლიმპიადის განსაკუთრებული შემთხვევებისა. ამასთანავე, მაჟორიტარებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების საბიუჯეტო ასიგნების 6 მილიონი ლარით შემცირება. მისი თქმით, თბილისის საკრებულო იცნობს არსებულ შენიშვნებს და იგი კიდევ მიუბრუნდება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების

შესახებ წესს, რომლის ნაკლოვანებები და ხარვეზები მუშაობის პროცესში გამოვლინდა და რაციონალური განსჯის შედეგად აღმოიფხვრება.

სიტყვა გადაეცა საკრებულოს წევრს, ბატონ გიორგი ჩაკვეტაძეს. მისი თქმით მართებულია თბილისის ბიუჯეტის 500 000 ლარით მატება სპორტული ღონისძიებების ნაწილში. ეს აიხსნება რამდენიმე ფაქტორით, პირველ რიგში, ზაფხულის პერიოდში სპორტულ ღონისძიებებზე მეტი მოთხოვნაა თბილისის მერიაში შესაბამისი ფედერაციებიდან. ბატონი გიორგის განმარტებით, აღნიშნული 500 000 ლარი არ გადმოიტანება კაპიტალური ტრანსფერიდან, არამედ თბილისის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის ბიუჯეტის სხვა მუხლიდან, მიღებული ეკონომიის ხარჯზე. მისივე თქმით, მიმდინარე პროექტები კვლავ დღის წესრიგშია და თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები დეტალურად ეცნობიან ინფორმაციას მათ შესახებ. ბატონი გიორგის თქმით, შესაბამისად, მას არ აქვს რაიმე შეკითხვა ბატონ გაიოზ თალაკვაძესთან.

კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა აღნიშნა, რომ თბილისის ბიუჯეტი იზრდება მიზნობრივად და ბიუჯეტში დაგეგმილი პრიორიტეტების შესაბამისად, რაც ეხმიანება თბილისის მერის გასული წლის განაცხადს იმის თაობაზე, რომ დედაქალაქის ბიუჯეტი მილიარდ ლარამდე გაიზრდებოდა. თბილისის მუნიციპალიტეტი ამ მიმართულებით მუშაობს და ბიუჯეტის თითოეული თეთრი ხმარდება მოსახლეობის კეთილდღეობას. ქალბატონი თამარ ტალიაშვილის თქმით, როგორც წესი, კულტურის მიმართულება ბიუჯეტში საკმაოდ დეფიციტურად იგეგმებოდა, რაც სამწუხარო ფაქტია და წლიდან წლამდე საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისია აცხადებს, რომ კულტურის მიმართულება უნდა შეივსოს ბიუჯეტის კვარტალური დანაზოგებისა თუ სხვა სახსრების ხარჯზე. მისივე აღნიშვნით, კულტურული ღონისძიებების მიმართულებით, ბიუჯეტის მატება ძალიან მნიშვნელოვანია დედაქალაქის ფუნქციონირებისა და განვითარებისთვის, როგორც არა მხოლოდ საქართველოს ცენტრის, არამედ რეგიონის კულტურული მიზიდულობის ცენტრისა.

ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა, ასევე, განმარტა, რომ მიმდინარეობს თბილისის ბიბლიოთეკების რეფორმა. მისი თქმით, წლის დასაწყისში შეიქმნა თბილისის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანება და მის ბალანსზე გადმოდის 289 000 ლარი. საბიუჯეტო ცვლილება ასევე, ეხება მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეს, სადაც მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები, მონტაჟდება გათბობა-გაგრილების სისტემა და ვინაიდან აღნიშნული შენობა კულტურულ მემკვიდრეობის ძეგლს წარმოადგენს, კაპიტალურ სარემონტო სამუშაოების განახორციელებს თბილისის განვითარების ფონდი.

საკრებულოს წევრმა, ბატონმა ირაკლი ნადირაძემ განმარტა, რომ მერიის ადმინისტრაციის ხარჯი და კულტურული ღონისძიებების სახსრები წინასაარჩევნოდ იზრდება. მანვე მიმართა კომისიის თავმჯდომარეს, განემარტა, თუ რატომ მცირდება ინკლუზიური განათლების მუხლი 100 000 ლარით.

ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა განმარტა, რომ ხსენებული თანხა გამოყოფილი იყო განათლების პროგრამაში, საჯარო სკოლებში მცირედმხედველთათვის განკუთვნილი აპარატურის შესაძენად, რომლის ხარჯები გაიღო საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ. ასევე, პარასპორტის ბაზაზე შშმ პირებისთვის სათანადოდ აღჭურვილი სივრცის გამოთავისუფლებამ გამოიწვია აღნიშნულის შემცირება. ქალბატონმა თამარმა საკითხთან დაკავშირებით დამატებით აღნიშნა, რომ „ინკლუზიური კულტურის განვითარების ხელშეწყობის" მუხლით (კოდი 0813) დაფინანსდება, როგორც კულტურული, ასევე სხვადასხვა საგანმანათლებლო ინკლუზიური პროექტები.

სიტყვა გადაეცა საკრებულოს წევრს, ბატონ დავით ჟღენტს, რომელმაც განმარტა, რომ ძალიან მნიშვნელოვანი და კარგია ბიუჯეტის ზრდა, მაგრამ უკეთესი იქნებოდა თუ ეს თანხა მიზნობრივად იქნებოდა გაზრდილი და მოსახლეობის მთავარი მოთხოვნები იქნებოდა დაკმაყოფილებული. მისივე განმარტებით, არაერთხელ ითქვა, რომ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებს შეექმნებოდა პრობლემები და რეალურად დღეს ამ პრობლემის წინაშე დგას ქალაქი. მაგალითად, სახურავების მოწყობა, ლიფტების, სადარბაზოების, შიდა კომუნიკაციის შეკეთების სერვისებს, სამწუხაროდ, ბევრი მოსახლე ვერ იღებს და სამწუხაროდ თბილისის საკრებულოს უმრავლესობა არ დაეთანხმა შეთავაზებულ წინადადებას, რათა კონკრეტული ცვლილება შესულიყო ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების შესახებ წესში.

მანვე აღნიშნა, რომ იზრდება თანხები საზოგადოებასთან ინფორმირების საბიუჯეტო მუხლში.

ბატონმა ირაკლი ზარქუამ საკითხთან დაკავშირებით თქვა, რომ როგორც უკვე აღინიშნა, არსებობს გარკვეული ხარვეზები და თბილისის მუნიციპალიტეტი ცდილობს გამოასწოროს ისინი, საკრებულოს წევრების ჩართულობით მიიღოს უკეთესი წესი. რაც შეეხება მოსახლეობის ინფორმირებულობას, დედაქალაქს აქვს მნიშვნელოვანი გამოწვევები და სატრანსპორტო პოლიტიკა, რასაც სჭირდება საზოგადოების მეტი ინფორმირებულობა და ჩართულობა. მისივე თქმით, არ გამორიცხავს, რომ საზოგადოების ინფორმირების მუხლს კიდევ დასჭირდეს გაზრდა, რადგან მისაღებია დედაქალაქის გენერალური გეგმა, რომელსაც ასევე, სჭირდება მეტი კომუნიკაცია თანამოქალაქეებთან.

ბატონმა ლევან ხაბეიშვილმა ჰკითხა ბატონ გიორგი ჩაკვეტაძეს, თუ რა კვალიფიკაცია გააჩნიათ პირებს, რომლებიც მწვრთნელის სტატუსით მონაწილეობენ ყოველთვიურ სამწვრთნელო პროგრამაში და ფინანსდებიან 500 ლარით. მისი აღნიშვნით, ხსენებულ კითხვაზე პასუხი ვერ მიიღო მიმდინარე წლის იანვრის თვიდან.

საკითხთან დაკავშირებით, საკრებულოს წევრმა, ბატონმა ავთანდილ ცინცაძემ განმარტა, რომ სპორტის ზოგიერთ სახეობაში სერტიფიცირებული მწვრთნელები არ არიან, მაგრამ მათი აღზრდილია ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონები. მისივე თქმით, საქართველოს სამბოს ეროვნულ ფედერაციასაც შეეხო მწვრთნელების მონიტორინგი, როდესაც აღირიცხებოდა სერტიფიცირებული მწვრთნელები.

**დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს:**

გაიოზ თალაკვაძემ, ირაკლი ზარქუამ, ლევან ხაბეიშვილმა, მარიკა დარჩიამ, გიორგი ჩაკვეტაძემ, ირაკლი ნადირაძემ, თამარ ტალიაშვილმა, დავით ჟღენტმა, ბექა დავითულიანმა.

**სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის № 6-8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ'' ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის დადებითად შეფასებისა და მისი საკრებულოსთვის განსახილველად გადაცემის შესახებ.**

| | |
|---|---|
| მომხრე _____ | 6 |
| წინააღმდეგი _____ | 0 |
| თავი შეიკავა _____ | 0 |

**განათლებისა და კულტურის კომისიამ ერთხმად გადაწყვიტა, რომ დადებითად აფასებს ბიუჯეტის აღნიშნული ცვლილების პროექტს, არ აქვს არსებითი შენიშვნები და წინადადებები მის მიმართ და მხარს უჭერს წარმოდგენილი დადგენილების პროექტის გადაცემას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.**

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე:

თამარ ტალიაშვილი

---